საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №66/ნ
2016 წლის 10 ივნისი

ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, 112, 26/09/2005) და ბრძანების:

1. დანართ №2-ით გათვალისწინებული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს - ქალაქ ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოროჯალარის საჯარო სკოლა დაფუძნებულად ჩაითვალოს 2005 წლის 15 სექტემბრიდან 2009 წლის 22 აპრილამდე პერიოდში (გრაფა №38).

2. დანართ №9-ის:

ა) 205-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

205	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორლოვკის საჯარო სკოლა	სომხური/ ქართული	დაწ-საბ.-საშ.	სომხური/ქართული

“;

ბ) 290-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 291-ე და 292-ე გრაფები:

„

291	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა		დაწ-საბ.	აზერბაიჯანული
292	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ საგარეჯოს საგანმანათლებლო	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამის საჯარო		დაწ-საბ-საშ.	აზერბაიჯანული

	რესურსცენტრი	სკოლა			

“;

მუხლი 2

ცნობად იქნეს მიღებული, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თიანეთის №1 სკოლა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან, არ ახორციელებდა პანსიონურ მომსახურებას და შესაბამისად არ უნდა ყოფილიყო მითითებული დანართ 3-ში, რომელშიც მოცემული იყო ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც მოსწავლეებს სთავაზობდნენ პანსიონურ მომსახურებას. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თიანეთის №1 სკოლა მითითებული უნდა ყოფილიყო „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების დანართ №2-ით გათვალისწინებულ, თიანეთის რაიონის დაქვემდებარებული სკოლების ცხრილში.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 4

ამ ბრძანების პირველი მუხლის მეორე პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2012 წლის 18 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2005 წლის 15 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა**